

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი



საკონფერენციო თემა

**“საქართველო-უკრაინის NATO-ში გაწევრიანების პერსპექტივები: ისტორიული
პარალელები, გამოწვევები და გადაჭრის გზები“**

მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი: ალისა ოვესოვი

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და
სამომავლო პერსპექტივები“*

23-24 დეკემბერი, 2020

სარჩევი:

1. შესავალი: ნაშრომის ზოგადი დახასიათება.....	3
1.1 ნაშრომის აქტუალობა.....	3
1.2 ნაშრომის ჰიპოთეზა	4
2. NATO-ს ისტორიული მისია	4
2.1. თურქეთ-საბერძნეთის მაგალითის განხილვა.....	5
3. საქართველო-უკრაინა. ომიდან ანექსიამდე (2008-2014).....	6
3.1. უკრაინა და საქართველო დღეს.....	7
4. დღეს არსებული სიტუაცია რეგიონში	10
5. დასკვნა	11
6. რეკომენდაციები	12
7. გამოყენებული ლიტერატურა.....	14

1. შესავალი: ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალა ძალთა ბალანსი. ორპოლუსიანობა დასრულდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო გამარჯვებული დასავლეთი და აშშ ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ NATO-ს როლი მთელი მისი არსებობის განმავლობაში არამც თუ არ შემცირებულა, არამედ 21-ე საუკუნეში თითქოს გაიზარდა კიდევ. ალიანსი აწარმოებდა გაფართოების პოლიტიკას, ამყარებდა პარტნიორულ ურთიერთობებს არაწევრ სახელმწიფოებთან, მისი ეგიდით ხორციელდებოდა და ხორციელდება არა ერთი სამშვიდობო ოპერაცია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არის დემოკრატიის და მშვიდობის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორი. საქართველო და უკრაინა, რომლებსაც მუდამ უწევთ რუსეთის ან აგრესიის მოგერიება, ან მის გავლენასთან და პროპაგანდასთან ბრძოლა, ბუნებრივია, თავის ხსნას ხედავენ დასავლურ სამყაროში. ამ ორი ქვეყნის ალიანსთან ურთიერთობების გამოცდილება სხვადასხვანაირია, თუმცა წინაბედებარე ნაშრომის მიზანია ყურადღება გაამახვილოს არა იმდენად ორი ქვეყნის ურთიერთობების გამოცდილებაზე ალიანსთან, არამედ იმ ისტორიულ პარალელებსა და გამოწვევებზე, რა გამოწვევების წინაშეც დგას ის ორი სახელმწიფო, რომლებმაც არა ერთხელ დააფიქსირეს საკუთარი სურვილი იყვნენ ალიანსის სრულუფლებიანი წევრები.

1.1 ნაშრომის აქტუალურობა

ცივილიზებული სამყარო თანხმდება, რომ 21-ე საუკუნეში აღარ უნდა ხდებოდეს დაპყრობითი ხასიათის ომები, ნებისმიერი კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან. მეტიც, ტერიტორიული კონფლიქტების არარსებობა, მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენს ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმსა და პირობას. გამოდის რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს ალიანსის წევრი ქვეყანა, უნდა მოახერხოს და მშვიდობიანად მოაგვაროს თავისი ყველა ტერიტორიული დავა მესამე მხარესთან. უკრაინა და საქართველო წლების განმავლობაში აკაკუნებენ NATO-ს კარებზე. მაგრამ მოდით შევხედოთ როგორი სიტუაციაა დღესდღეობით ამ ორ სახელმწიფოში. საქართველოში: რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების პერმანენტული ბორდერიზაცია, მავთულხლართების გავლა, თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ხალხის უკანონო გატაცება/დაკავება, რიგ შემთვევებში მათი ფიზიკური განადგურებაც კი (ტატუნაშვილი, ოთხოზორია, ბაშარული), საზღვრისპირა მცხოვრები ეთნიკური ქართველების უფლებების უხეში დარღვევა, დეზინფორმაცია, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერაზე უარის თქმა, საერთაშორისო მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობები, მათი ჩიხში შეყვანა და ა.შ. ზემოთჩამოთვლილი ყველა უკანონო ქმედების ავტორი და შემოქმედი რუსეთის ფედერაციაა. რა ხდება ამ დროს უკრაინაში? ყირიმის ნახევარკუნძულის, ევროპის კონტინენტის შუაგულში, სრული და უკანონო ანექსია. ომი დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში აღმოსავლეთ უკრაინაში. მიზეზი ამ ყველაფრისა? ისევ და ისევ რუსეთის ფედერაციის აქტიური და მნიშვნელოვანი როლი. ისმის შეკითხვა: განა დასაშვებია 21-ე საუკუნეში საერთაშორისოდ დადგენილი და აღიარებული საზღვრების დარღვევა, ძალის გამოყენება, დაპყრობითი ხასიათის ომების

წარმოება თუ არა, მათი მხარდაჭერა? ნებისმიერი ცივილიზებული სამყაროს წევრი იტყვის რომ არა თუ დასაშვები არ არის, შეუძლებელიცაა მსოფლიოსთვის, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გადაიტანა გასულ საუკუნეში. მაგრამ ეს რეალობაა, და ამ რეალობასთან თანაცხოვრება, შებრძოლება და რეაგირება უწევს ორ ქვეყანას, რომლებიც რეალურად, დღესდღეობით, სრულიად დაუცველნი არიან რუსეთის აგრესიის წინაშე. როგორც საქართველოსა და უკრაინის მაგალითი გვიჩვენებს, 21-ე საუკუნეში ზოგ ქვეყნებს ჯერ კიდევ უწევთ არსებობისთვის ბრძოლა, აქტიური ან პასიური ომის პირობებში ცხოვრება, რაც ისევ და ისევ ხაზს უსვამს ამ თემის აქტუალურობას და მიუთითებს საკითხის სიმწვავეზე.

1.2 ნაშრომის ჰიპოთეზა

ხშირად დიდ აღფრთოვანებას და ინტერესს იწვევს NATO-ს და დასავლეთის ხისტი და პრინციპული პოლიტიკა სსრკ-ს მიმართ გასულ საუკუნეში. დაპირისპირება ორ ბანაკს შორის-კომუნისტურ სსრკ-ს და დასავლეთს შორის ეხებოდა არა მარტო სამხედრო ძლიერებისთვის ბრძოლას, არამედ იდეოლოგიურ დაპირისპირებას. ეს იყო ბრძოლა კომუნისტურ ტოტალიტარიზმსა და ლიბერალიზმს შორის, სადაც საბოლოო გამარჯვებულის სახით გვევლინება ლიბერალური დასავლეთი. დღეს სსრკ-ს სამართალმემკვიდრედ გვევლინება თანამედროვე რუსეთის ფედერაცია. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თქვა კიდევაც, რომ სსრკ-ს დაშლა იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა. (<https://www.reuters.com/article/us-russia-election-putin-idUSKCN1GE2TF>). სსრკ-ს დაშლა, რომელიც დასავლეთის მთავარ მეტოქეს წარმოადგენდა გასულ საუკუნეში, დღევანდელი მისი სამართალმემკვიდრის მთავარსარდლისთვის არის გეოპოლიტიკური კატასტროფა. რაზე მიუთითებს ეს? 1) რუსეთი ვერ შეეგუა თავის დამარცხებას; 2) რუსეთს სურს ძველი გავლენის დაბრუნება, და თუ მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ტოტალიტარული რეჟიმის დამხობა წარმოადგენს უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფას, ალბათ ლოგიკური იქნება ეჭვი შევიტანოთ ამ ქვეყნის კეთილგანწყობაში არა თუ რეგიონის, არამედ ზოგადად კაცობრიობის მიმართ. აშკარა ხდება, რომ ცივი ომის დროს, ბიპოლარული სამყაროს პირობებში, როდესაც სიტუაცია მსოფლიოში და ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის იყო უკიდურესად დამაბული, ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც იყო გაცილებით უფრო შეკრული საერთო საფრთხის წინააღმდეგ. საერთო მტრის არსებობა და მისგან წამოსული რეალური საფრთხის საშიშროება გაცილებით უფრო კარგად იყო გააზრებული ბიპოლარული სამყაროს პირობებში.

2. NATO-ს ისტორიული მისია

როგორც ვიცით ალიანსი შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს (https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_67656.htm#:~:text=The%20Washington%20Treaty%20-%20or%20North,1949%20by%2012%20founding%20members.)

რომლის მთავარი მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის მხრიდან წამოსული საფრთხის თავიდან აცილება. უსაფრთხოების საერთო ქოლგის ქვეშ აღმოჩენილი სახელმწიფოები

იღებდნენ ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში დაეცვათ ერთმანეთი. ორგანიზაციის წესდების მეხუთე მუხლის თანახმად თავდასხმა ორგანიზაციის ერთ წევრზე ნიშნავს თავდასხმას მთელს ორგანიზაციაზე.

(https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm#:~:text=Article%205%20provides%20that%20if,to%20assist%20the%20Ally%20attacked.)

2.1. თურქეთ-საბერძნეთის მაგალითის განხილვა.

როგორც უკვე ნაშრომის შესავალ ნაწილში ავლნიშნეთ, ალიანსის წევრობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა არის კონფლიქტების არარსებობა და მათი მოგვარება მშვიდობიანი გზით. თურქეთ-საბერძნეთის შემთხვევა გვიჩვენებს რომ ყოველთვის ასე არ ხდება. კვიპროსის გამო დავა ორ სახელმწიფოს შორის 50იანი წლებიდან დღემდე მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა თურქეთიც და საბერძნეთიც ალიანსის წევრი ქვეყნები არიან. მეტიც, კვიპროსი 2004 წლიდან ევროკავშირის წევრიც კი გახდა. თურქეთ-საბერძნეთის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ალიანსში მათი გაწევრიანება 1952 წელს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ორივესთვის. საბჭოთა კავშირის გავლენის გაზრდის შესამცირებლად და კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების პრევენციისთვის ალიანსის ქოლგის ქვეშ აღმოჩენა იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ორივე ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით საბერძნეთიც და თურქეთიც არიან ალიანსის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორები. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომი ახალი დასრულებული იყო, მსოფლიო კი ცივი ომის ზღვარზე იმყოფებოდა, დასავლეთმა გადადგა თავისთვის სტრატეგიულად, ხოლო ამ ორი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კერძოდ, მიიღო ისინი თავის რიგებში. ამით დასავლეთმა ორივე ქვეყანა კომუნიზმის გავრცელებისგან და საბჭოთა კავშირის გავლენისგან იხსნა. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე მის სტილს ხშირად იყენებს. ცრუპროპაგანდა, თავისი გავლენის გავრცელება ძალის გამოყენებით, ყველაფერი ეს დღევანდელი რუსეთის სტილია, ისევე როგორც თავის დროზე ეს იყო სსრკ-ს სტილი. უკრაინაც და საქართველოც დღეს მსგავსი, თუ არა უარესი პრობლემის წინაშე დგანან. გარდა იმისა რომ ორივეს უწევს აქტიური თუ არა, პასიური ომის და მუდმივი დამაბულობის ფონზე არსებობა, ორივე ქვეყანაში რუსეთი ცდილობს, ასევე, თავისი ე.წ. „რბილი ძალის“ გამოყენებასაც, დეზინფორმაციის გავრცელებას ცრუ-ამბების მეშვეობით და ა.შ. საქართველოსთვისაც და უკრაინისთვისაც ეს ერთგვარი იდეოლოგიური გამოწვევაა. უნდა ითქვას ისიც, რომ საბერძნეთიც და თურქეთიც ალიანსის აქტიური წევრები არიან სამხედრო კონტრიბუციის თვალსაზრისით. თურქეთი მონაწილეობას იღებდა ყოფილი იუგოსლავიის სამხედრო ოპერაციებში რომელიც ნატოს ეგიდით ხორციელდებოდა. იყო ISAF-ის სამშვიდობო მისიის წევრი ავღანეთში. მისი სამხედრო-საჰაერო ძალები მონაწილეობას იღებდნენ ნატოს ოპერაციაში ლიბიაშიც. თურქეთის მსგავსად საბერძნეთიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა იმ სამშვიდობო ოპერაციებში რომლებშიც ალიანსი იღებს მონაწილეობას. მისი გეოგრაფიული მდებარეობაც ასევე უწყობს ხელს იმაში რომ იყოს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ამ სამშვიდობო მისიებში.

საბერძნეთი მონაწილეობას იღებდა კოსოვოს, მაკედონიის და ავღანეთის სამშვიდობო მისიებში. ამის ფონზე აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ალიანსის წევრი ქვეყანა, ის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ალიანსის სამშვიდობო მისიებში.

- a. **გერმანიის მაგალითის განხილვა.** როგორც ვიცით, გერმანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიყო ორ ნაწილად: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად. გდრ-ი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ, გფრ-ი დასავლეთის გავლენის ქვეშ. ვინაიდან გდრ-ი იმყოფებოდა საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა ერთიანი გერმანიის ინტეგრაცია ალიანსში. შესაბამისად, მოხდა ჯერ გფრ-ის გაწევრიანება ალიანსში 1955 წელს, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ 1990 წლის 3 ოქტომბერს მოხდა გდრ-ის ავტომატური „გაწევრიანება“ ალიანსში.

(<https://www.eata.ee/ru/ნატო/სტრანი-члены-организации/#:~:text=В%20НАТО%20входит%2030%20государств,%2C%20Турция%2C%20Венгрия%2C%20Черногория>). მაგალითი ცხადყოფს, რომ გარდა იმისა რომ ამ გაწევრიანებით გფრ-ი გადაურჩა საბჭოთა შემდგომ ოკუპაციას და გავლენის გაზრდას გერმანიის მთელს ტერიტორიაზე, ის ასევე გადაურჩა კომუნიზმის იდეოლოგიურ გავრცელებასაც გერმანიის დანარჩენ ნაწილში. ალიანსში გაწევრიანების შედეგად, რასაც ორივე მაგალითი ცხადყოფს, ხდება არა მარტო ქვეყნების ფიზიკური გადარჩენა (იმ ქვეყნების რომლებსაც ჰყავთ არაპროგნოზირებადი მეზობლები, ან რომლებიც გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლნი ხდებიან), არამედ მათი იდეოლოგიური გადარჩენაც. ორივე შემთვევაში ეს იყო ქვეყნების გადარჩენა კომუნიზმისგან და მისი მავნე მოქმედებისგან სახელმწიფოს განვითარებაზე.

3. საქართველო-უკრაინა. ომიდან ანექსიამდე (2008-2014)

როგორც უკვე შესავალში იყო აღნიშნული, საქართველოც და უკრაინაც უკვე წლებია აკაკუნებენ NATO-ს კარებზე და ცდილობენ ალიანსის სრულუფლებიან წევრობას. აღსანიშნავია რომ ალიანსი ამ ორი ქვეყნის წევრობას არ ეწინააღმდეგება, მეტიც, მხარსაც კი უჭერს და მიესალმება ორი ქვეყნის პროდასავლურ და ატლანტიკურ ორიენტაციას. პირველად, და ყველაზე მკაფიოდ დასავლეთმა მხარი დაუჭირა ორი ქვეყნის მისწრაფებას ალიანსში NATO-ს 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტზე (https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm), როდესაც გასცა დაპირება, რომ საქართველო და უკრაინა, ერთ დღეს, ოდესღაც აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები. თუმცა არც ერთს არ მისცა სამოქმედო გეგმა(MAP-ი). შეგვიძლია დავუშვათ, რომ დასავლეთი მოქმედებს ნაბიჯ-ნაბიჯ, მშვიდად, ლიბერალურად, ერთი სიტყვით ცივილურად. სურს აწონოს თავისი ყველა ნაბიჯი და გადაწყვეტილება. მაგრამ ეს ცნებები რუსეთის ფედერაციისთვის, ისევე როგორც თავის დროზე სსრკ-სთვის, არის სრულიად უცხო. NATO-ს მხრიდან სამოქმედო გეგმის არ მიცემა აღიქვა როგორც ამ რეგიონში სრული თავისუფლების სიგნალი. ყველანაირი ხერხით ეცადა კონფლიქტის გაღვივებას და მიზანს მიაღწია კიდევაც როდესაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს

ტერიტორიაზე დაიწყო სამხედრო მოქმედებები. მაგრამ არ მოელოდა რა იმას, რომ დასავლეთს ექნებოდა ამაზე საკმაოდ სერიოზული რეაგირება. საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში შევიდა აშშ-ს სამხედრო გემი. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უმცროსის ეროვნული უშიშროების ყოფილი მრჩევლის, სტივ ჰედლის აზრით, სამხედრო გემის შეყვანით ქვეყანაში ამერიკამ აჩვენა რუსეთს, რომ მოვლენები რუსეთს უფრო ფართო კონფრონტაციის წინაშე აყენებდა. (<https://civil.ge/ka/archives/249310>)

აღსანიშნავია ასევე საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის როლი ამ კონფლიქტში, რომელიც ორგანიზებას უკეთებდა მოლაპარაკებებს მოსკოვსა და თბილისს შორის, და მისი შუამავლობით ხელი მოეწერა 6 პუნქტიან შეთანხმებას მოსკოვსა და თბილისს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ასევე „სარკოზის 6 პუნქტიანი შეთანხმების“ სახელით არის ცნობილი. (http://iccn.ge/index.php?article_id=301&clang=0)

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ დასავლეთმა ამ კონფლიქტში უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გარდა სამხედრო გემისა, მოლაპარაკებებში მედიატორობის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ა.შ. დასავლეთმა იმ პერიოდში, ასევე, შეაჩერა NATO-რუსეთის საბჭოს მუშაობა. თუმცა როგორ განვითარდა მოვლენები 2009 წლის შემდგომ, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ხდება ბარაკ ობამა? იწყება ე.წ. „გადატვირთვის პოლიტიკა“ რუსეთთან, რამაც საბოლოო ჯამში რუსეთს გაუჩინა „დაუსჯელობის სინდრომი“. იმავე სტივ ჰედლის აზრით რუსეთთან ურთიერთობების აღდგენამ უკან წაიღო მანამდე ყველა გადადგმული ნაბიჯი. (<https://civil.ge/ka/archives/249310>) რა მიიღო მსოფლიომ, კერძოდ ევროპამ რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკით“? კიდევ ერთი ომი დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში აღმოსავლეთ უკრაინაში, და არც მეტი არც ნაკლები, ნახევარკუნძულის(ყირიმის) ანექსია. უკრაინა, რომელიც ასევე შავი ზღვის ნაწილია, ანუ იმ რეგიონის ნაწილი რომელშიც ალიანს არა მარტო ინტერესები, არამედ წევრი სახელმწიფოებიც ჰყავს (ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი). შედეგად გვაქვს: ოკუპირებული რეგიონები საქართველოში, დაძაბული ვითარება უკრაინის თვითგამოცხადებულ ოლქებში, ანექსირებული ნახევარკუნძული უკრაინაში.

3.1. უკრაინა და საქართველო დღეს.

დღეს ორივე ქვეყნის კონფლიქტები რეალურად ჩიხშია მოქცეული. განვიხილოთ ის ძირითადი მოლაპარაკებების საერთაშორისო ფორმატები, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის. საქართველოს შემთხვევაში ეს არის ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2008 წლის 15 ოქტომბერს. (<https://smr.gov.ge/en/page/26/geneva-international-discussions>)

ძალის გამოუყენებლობის წინაპირობები ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის საფუძველში დევს. მოლაპარაკებები იმართება ეუთოს, EU-ის და UN-ის ხელმძღვანელობით საქართველოსა და რუსეთს შორის. მოლაპარაკებებში ასევე ჩართულნი არიან აშშ-ის წარმომადგენლები და წარმომადგენლები აფხაზეთიდან და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან. გარდა იმისა, რომ მოლაპარაკებების

ფარგლებში განიხილება იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი, განიხილება ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები: მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება და სხვა. თუმცა ძალის არგამოყენების საკითხი წარმოადგენს ფორმატის ცენტრალურ საგანს. საკითხი ძალის არგამოყენების შესახებ 2008მდე იწვევდა უთანხმოებას, თუმცა 2008ის მერე სულ სხვა რეალობა დადგა. ახლა ნებისმიერი ხელმოწერილი დოკუმენტი სოხუმის და ცხინვალის წარმომადგენლებთან შეიძლება შეფასებული იყოს როგორც თანხმობა რუსეთის „ახალ რეალობასთან სამხრეთ კავკასიაში“, ე.ი. ორი ახალი სახელმწიფოს არსებობას, რომლებმაც „მიადწიეს აღიარებას“. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, საქართველომ ცალმხრივად აიღო ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ. ვალდებულება აღებულ იქნა ზეპირი ფორმით, რაც მიღებული პრაქტიკაა საერთაშორისო სამართალში. NUF-ის (non use of force) (<https://civil.ge/archives/220067?fbclid=IwAR31Jpbs5JtcOTu31OSivuFOIRZFWHlqtKZv5x9DuCvjQ-ZW-vozyK2R-hY>) დაპირება საქართველოს მხრიდან გაჟღერდა 2010 წლის 23 ნოემბერს, როდესაც საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვიერად გამოსვლისას ევროპარლამენტში თქვა, რომ: „საქართველო არასდროს არ გამოიყენებს ძალას საკუთარი ტერიტორიების მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად, რომ ის მიმართავს მარტო მშვიდობიან გზებს დეოკუპაციისთვის და გაერთიანებისთვის. ასევე მან წერილი მისწერა გაეროს, ეუთოს, ნატო-ს გენერალურ მდივნებს, ასევე EU-ს ინსტიტუტების წარმომადგენლებს და აშშ-ს პრეზიდენტს, სადაც გაიმეორა, რომ: „საქართველო იღებს ვალდებულებას არ გამოიყენოს ძალა ოკუპირებული ძალების წინააღმდეგ იმისთვის, რომ გააერთიანოს უკანონოდ გახლეჩილი ქვეყანა“. საქართველოში, მთავრობის შეცვლის მერე, 2012 წელს ახალმა პარლამენტმა დაადასტურა საქართველოს ვალდებულება ძალის არ გამოყენების შესახებ, რომელიც პრეზიდენტმა 2010 წელს დადო. რა არის ამ შემთხვევაში რუსეთის ვალდებულებები? ზოგადად, გაეროს წესდების თანახმად, არც ერთი ქვეყანა არ უნდა იყენებდეს ძალას, ან ძალის მუქარას. მოსკოვმა ეს ვალდებულება უხეშად დაარღვია 2008 წელს, როდესაც უკანონოდ მოახდინა ტერიტორიების ჯერ ოკუპაცია, ხოლო შემდეგ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარება. საქართველო თავის ნაკისრ ვალდებულებებს 2008 წლის მერე იცავს, რაც 2010ში კიდევ ერთხელ დადასტურდა. რჩება რუსეთის საპასუხო ნაბიჯი, აიღოს ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ საქართველოს მიმართაც და ოკუპირებული ტერიტორიების მიმართაც. მოსკოვი ამ ნაბიჯს არ დგამს. მას სურს წარმოაჩინოს ეს შეთანხმება, როგორც შეთანხმება აფხაზებსა და ქართველებს შორის, ოსებსა და ქართველებს შორის. გარდა ამისა, მოსკოვი თვლის, რომ 2008 წლის შეთანხმება არარელევანტურია მის მერე, რაც მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა 2008 წლის 26 აგვისტოს. როგორც ცნობილია EU-მ არა ერთხელ მიმართა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის მონაწილეებს გააგრძელონ ერთობლივი მუშაობა მდგრადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ამისთვის საჭიროა რუსეთის მკაფიო ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ. 2016 წლის ვარშავის სამიტზე NATO-ს ქვეყნების ლიდერები მიესალმნენ საქართველოს ვალდებულებებს ძალის არგამოყენების შესახებ, და მოუწოდეს რუსეთს გადაეღო

საკასუხო ნაბიჯი. რომ დავუბრუნდეთ ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებას და საკითხს თუ რატომ ვერ მოაწერს ხელს საქართველო აღნიშნულ შეთანხმებას. თუ საქართველო ხელს მოაწერს ეს შეამცირებს წნეხს რუსეთზე აიღოს ცალმხრივად ვალდებულებები. მოისურვებს გამოვიდეს როგორც შუამავალი NUF-ის შესახებ განცხადებაში საქართველოს, აფხაზებსა და ოსებს შორის და მოისურვებს EU-თნ ერთად NUF-ის უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ საქართველო ამტკიცებს, რომ ჯერ რუსეთმა უნდა აიღოს თავის თავზე ვალდებულებები ძალის არგამოყენების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში 2008 წლის მერე რეალობის იგნორი გამოდის, რადგან კონფლიქტის ძირითადი მხარეები სწორედ საქართველო და რუსეთია, და არა სოხუმი და ცხინვალი. გარდა ამისა ხელის მოწერით საქართველო ერთგვარ პოლიტიკურ ლეგიტიმაციას მიანიჭებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. საქართველო კი ვერ გააფორმებს მათთან ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაში აღქმული იქნება როგორც აფხაზეთისა და სახმრეთ ისეთის აღიარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი. მთავარი პრობლემა კი სინამდვილეში არის ის, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება მოსკოვის მხრიდან და როგორც შედეგი სოხუმსა და ცხინვალში. ჟენევის მოლაპარაკებების წარუმატებლობა ასევე გამოწვეულია მოსკოვის სურვილის არარსებობაში მიაღწიოს რაიმე პროგრესს აღნიშნულ მოლაპარაკებებში. გარდა იმისა, რომ რუსეთი არ აწერს ხელს ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებას, ის ასევე უკანონო ქმედებებს სჩადის თვითონ ოკუპირებულ აფხაზეთშიც. მაგალითად, 2015 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ შეიქმნა რუსულ-აფხაზური გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაჯგუფება. ოფიციალურმა თბილისმა ეს შეაფასა როგორც „ფაქტობრივი ანექსიის პროცესის მორიგი უკანონო ეპიზოდი“, (<https://civil.ge/archives/257983>) რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის სტაბილურობას. რუსეთმა და სეპარატისტულმა აფხაზეთმა ეს ხელშეკრულება 2015 წლის ნოემბერში გააფორმეს. აღნიშნულ დაჯგუფებაში აფხაზეთში განთავსებული რუსული სამხედრო ძალა შვეა და მას გაერთიანებული სარდლობა ეყოლება. ამით რუსეთი აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას და ეწინააღმდეგება დადგენილ საერთაშორისო წესრიგს. აღსანიშნავია რომ ყველა მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველო გმობს რუსეთის ქმედებებს, საქმის კურსში აყენებს საერთაშორისო საზოგადოებას, თუმცა რეალურად კონფლიქტი დღესდღეობით არის მოქცეული ჩიხში. 2018 წლის ჟენევის მოლაპარაკებების(https://civil.ge/page/4?s=non-use%20of%20force&fbclid=IwAR1QNYK6mK_AK-4MYOW1QkdYuZFflvnTADtoGr_DaiOdWRUHMTIBPvcJrSI) ერთ-ერთ რაუნდზე საქართველომ დაგმო ტატუნაშვილის წამება და მკვლელობა. გარდა მკვლელობისა და წამებისა, მოხდა ცხედრის დაგვიანებით გადაყვანა, ასევე ცხედარი საქართველოს მხარემ მიიღო შინაგანი ორგანოების გარეშე. ტატუნაშვილის გარდა რუსეთის სიკვდილის მანქანის მსხვერპლნი გახდნენ, ასევე, ოთხოზორია, ბაშარაული და ზოგადად ეთნიკური ქართველების სიცოცხლის ხელყოფა შემამფოთებელ ტენდენციას ატარებს. შემფოთებას იწვევს გალი-ახალგორის მოსახლეობის ბედი. იზღუდება მოსახლეობის უფლება სკოლაში მიიღონ განათლება ქართულად, პრობლემურია ჰუმანიტარული დახმარების გადაადგილება და ა.შ. ამ დროს რუსეთი უცერემონიოდ ამტკიცებს რომ სასაზღვრო ზოლში „ყველაფერი სტაბილურადაა“.

გარდა ამისა ყურადღებას ამახვილებს NATO-ს „მზარდ“ ყოფნაზე რეგიონში, რომელიც „სერიოზულ საფრთხეს“ უქმნის რეგიონულ უსაფრთხოებას. ბუნებრივია, მის ნარატივს იმეორებენ აფხაზები და ოსები. ჟენევის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ IPRM-ის ფორმატი- ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმები. თუმცა ამ ფორმატის ფარგლებში მონაწილეობას აფხაზეთი არ იღებს, შესაბამისად ეს ფორმატიც დღეის მდგომარეობით შეჩერებულია. (https://eumm.eu/en/new_media_gallery/gal_incidence_prevention_and_response_meetings_in_ergneti)

რა ხდება ამ დროს უკრაინაში? უკრაინის კონფლიქტმა თავიდან საკმაოდ სერიოზული რეზონანსი გამოიწვია. გამოყენებულ იქნა სანქციები, დაგმოხილ იქნა რუსეთის სამხედრო მონაწილეობა კონფლიქტში. ისევე როგორც საქართველოს შემთხვევაში, უკრაინის კონფლიქტის განხილვაც ხდება საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატების ფარგლებში. ესენია: ჟენევის განცხადება უკრაინის შესახებ. ხელი მოეწერა 2014 წლის 17 აპრილს ჟენევაში აშშ-ს, რუსეთის, უკრაინის და EU-ს მიერ; გაიმართა კონტაქტური ჯგუფის შეხვედრა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით რომელშიც მონაწილეობა მიიღო უკრაინამ, რუსეთმა და ეუთომ, და რომლის შედეგიც გახდა მინსკის პროტოკოლი 2014 წლის 5 სექტემბრის. და მოხდა, ასევე, „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, საფრანგეთის, უკრაინის და რუსეთის ლიდერებმა, რომლის შედეგიც გახდა მინსკის მეორე შეთანხმება 2015 წლის 12 თებერვალს. (<https://www.theguardian.com/world/2014/apr/17/ukraine-crisis-agreement-us-russia-eu>) როგორც ვხედავთ მოლაპარაკებების ფორმატები არსებობს, თუმცა ამ ფორმატების ფარგლებში არსებული მწვავე კონფლიქტების მოგვარება არ/ვერ ხერხდება.

4. დღეს არსებული სიტუაცია რეგიონში

როგორც ნაშრომში ასე თუ ისე გამოჩნდა, დასავლეთი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პარტნიორს, ეხმარება მას და უკრაინასაც დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში, მხარს უჭერს ფინანსურად და გრანტების დახმარებით, ცდილობს ასევე რომ ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. დასავლეთი, კერძოდ კი NATO, აშშ, არიან იმდენად დიდი კონტრიბუტორები ორივე ქვეყნისთვის, რომ მათი კონტრიბუციების ჩამოთვლისთვის და შეფასებისთვის დაგვჭირდება ცალკე ნაშრომი, ხოლო ეს საკითხი არ წარმოადგენს აღნიშნული ნაშრომის მიზანს. გარდა იმისა რომ საქართველოსთვის და უკრაინისთვის ალიანსიც და აშშ-ც წარმოადგენენ უმთავრესს პარტნიორებს, ასევე საქართველო და უკრაინა, თავის მხვრივ, არიან უმნიშვნელოვანესი პარტნიორები ალიანსისთვის. განვიხილოთ თანმიმდევრულად. ჩვენ ვიცით რომ საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანა, ([https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/eastern-partnership_en#:~:text=The%20Eastern%20Partnership%20\(EaP\)%20is,%2C%20Georgia%2C%20Moldova%20and%20Ukraine.](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/eastern-partnership_en#:~:text=The%20Eastern%20Partnership%20(EaP)%20is,%2C%20Georgia%2C%20Moldova%20and%20Ukraine.)) რომელშიც შედიან საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი და მოლდოვა. აღნიშნული ქვეყნებიდან: სომხეთი რიგი

მცდელობების მიუხედავად საბოლოოდ ყოველთვის ამჯობინებდა რუსულ ორბიტაზე დარჩენას, აზერბაიჯანისთვის უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო და არის თურქეთი და რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას ის ფრთხილობდა, ბელარუსს დღეის მდგომარეობით ჰყავს ავტორიტარული, უზურპატორი მმართველი ლუკაშენკოს სახით, მოლდოვას ახლად არჩეული პრეზიდენტი სანდუ პროდასავლური პოლიტიკით გამოირჩევა, თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები ამას დრო გვიჩვენებს. უკრაინა და საქართველო არიან დღესდღეობით ის ქვეყნები, რომლებიც არ ღალატობენ თავის პროდასავლურ არჩევანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ NATO-თან და, ასევე, სურვილს გამოთქვამენ ევროკავშირში გაწევრიანებაზე და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს კიდევაც, DCFTA-ის ხელმოწერითა და ევროკავშირთან საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლასის რეჟიმის მიღებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატიდან ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორი ქვეყანა წარმოადგენს იდეოლოგიურად საკმაოდ სანდო პარტნიორებს. განვიხილოთ ასევე ცალ-ცალკე აღებული უკრაინის და საქართველოს მნიშვნელობა დასავლური სამყაროსთვის. საქართველო, გარდა იმისა რომ წლებია ერთგული რჩება თავისი პროდასავლური ორიენტაციისა, ასევე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი მშვიდობის მშენებლობაში და როგორც ვიცით არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ალიანსის სამხედრო მისიებში სწორედ საქართველოს ჰყავს. ისეთ არასტაბილურ და ფეთქებად რეგიონში როგორც სამხრეთ კავკასიაა, რომელიც ასევე აერთიანებს ორ კონტინენტს და აქვს ალიანსისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან, შავ ზღვაზე გასასვლელი, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოთამაშე და პარტნიორი. უკრაინა, რომელიც მდებარეობს ევროპის კონტინენტის მნიშვნელოვან ნაწილში, ასევე აქვს გასასვლელი შავ ზღვაზე და ესაზღვრება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა უნგრეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რომლებიც უკვე არიან ალიანსის წევრები. შესაბამისად უკრაინის და ამ სახელმწიფოების საზღვრებზე მშვიდობა და უსაფრთხოება ნიშნავს ალიანსის უსაფრთხოებას ამ ფლანგზე. ისევე როგორც თავის დროზე თურქეთსა და საბერძნეთში მშვიდობა და სტაბილურობა იყო ალიანსის სტაბილურობის და მშვიდობის გარანტორი შავ ზღვაში, ასევე ამ ქვეყნების შემთვევაშიც, მათი სტაბილურობა და დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობების განმტკიცება არის ალიანსის მშვიდობის გარანტორი შავი ზღვის რეგიონში.

5. დასკვნა

განვიხილოთ ის ძირითადი მიგნებები, რა მიგნებების გაკეთებაც შესაძლებელია აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე. 1) როგორც აჩვენა საბერძნეთ-თურქეთის და გფრ-ს მაგალითებმა, ბიპოლარული სამყაროს პირობებში, მაშინ, როდესაც ტოტალიტარული სსრკ-გან წამოსული საფრთხე გაცილებით უფრო რეალურად ეჩვენებოდა დასავლურ სამყაროს, მისი პოზიციაც და ქმედებებიც გაცილებით უფრო შეკრული და პრინციპული იყო. ის იაზრებდა რა სსრკ-ს შესაძლო „აღფოთებას“, გაბრაზებას, პროტესტს, „გაღიზიანებას“, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს იმაში, რომ გადაედგა ის ნაბიჯები, რასაც საჭიროდ თვლიდა საკუთარი გავლენის ან შესანარჩუნებლად, ან გასავრცელებლად. იმ რეალობაში კი როდესაც დასავლეთი, ბუნებრივია მხარს უჭერს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ეხმარება მათ დემოკრატიული

იდეოლოგიის გავრცელებაში და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაში, მხარს უჭერს მათ სურვილს ინტეგრირდნენ დასავლურ სამყაროში, კერძოდ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, მაგრამ ამ ყველაფერს აკეთებს არა რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაციის ფონზე როგორც ეს გასული საუკუნის სსრკ-ს შემთხვევაში იყო, მისი საერთო პოლიტიკაც გაცილებით უფრო მშვიდი და ნაკლებად ხისტია. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მარტო სურვილის მხარდაჭერა არ არის საკმარისი აპრიორი ისეთი არაცივილიზებული მოთამაშისთვის როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციაა. 2) მიუხედავად მოლაპარაკებების საერთაშორისო ფორმატებისა და საერთო ძალისხმევისა კონფლიქტების მოგვარება მოხდეს მშვიდობიანი გზით საქართველოსა და უკრაინაში, დღესდღეობით რაიმე კონკრეტულ და მისაღებ შედეგს ვერ მიაღწია ვერც ერთმა მხარემ. მეტიც, მოლაპარაკებები რეალურად ჩიხშია და რაიმე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ცვლილებები ახლო მომავალში არ ჩანს. 3) რუსეთი, ისევე როგორც ნებისმიერი ტოტალიტარული და არადემოკრატიული ქვეყანა თავის ნაკისრ ვალდებულებებს ან არ ასრულებს, ან არღვევს. ამის ნათელი მაგალითია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი, რომლის ფარგლებშიც რუსეთი უარს ამბობს აილოს ასევე ცალმხრივი ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ და ცდილობს სიტუაციის ისე წარმოჩენას, თითქოს მას ეს კონფლიქტები არ ეხება, და ის უბრალოდ მესამე მხარეა. მისი ქმედები აფხაზეთში და აფხაზეთთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა ცხადყოფს რომ ის მესამე მხარე კი არა, არამედ დაინტერესებული მხარეა, და ეს დაინტერესება ნამდვილად არ უწყობს ხელს კონფლიქტის მოკლევადიან პერსპექტივაში მოგვარებას.

6. რეკომენდაციები

რა შეიძლება რომ გააკეთოს ამ შემთხვევაში დასავლელმა პარტნიორებმა და ორივე ქვეყანამ. საქართველომაც და უკრაინამაც უნდა გააგრძელონ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, რათა სათანადოდ შეფასდეს მოსკოვის უკანონო ქმედებები. ის ფაქტი რომ დღეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აკვირდება ოკუპაციის ხაზზე მოვლენებს, ბუნებრივია, ძალიან კარგია, თუმცა ნაკლებად ქმედითი. მისიის არსებობა ხელს არ უშლის რუსეთს განახორციელოს ის უკანონო ქმედებები რა ქმედებებსაც ახორციელებს. არ იქნება ცუდი თუ მოხდება ისეთი მისიის განთავსება, რომელსაც მოქმედებების უფრო მეტი ლეგიტიმაცია ექნება, რომელიც უფრო ქმედითი იქნება. რუსეთი მოქმედებს მანამდე, სანამ უფრო ძლიერი და ხისტი ხელი მას არ შეაჩერებს. ისევე როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. რომ არა დასავლეთის მკაფიოდ დაფიქსირებული პოზიცია 2008 წლის ომში, მისი საკმაოდ არაერთაზროვანი განცხადებები და ქმედებები, არ არის გამორიცხული რომ რუსეთი იმ ომში თბილისამდეც მისულიყო. შესაბამისად დიდია იმის შესაძლებლობა და შანსი რომ თუ დასავლეთის გავლენა თუნდაც ოკუპირებული ტერიტორიების ხაზზე, ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე მაინც გაიზრდება, ეს ერთგვარი სიგნალი იქნება რუსეთისთვის რომ წითელი ხაზი მისთვის უკვე გავლებულია. ეს დაეხმარება საქართველოს არსებული სტატუს კვოს შენარჩუნებაში მაინც. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა ე.წ. “გადატვირთვის პოლიტიკამ” რუსეთზე “შემრიგებლურად“ ვერ იმოქმედა. პირიქით, ომიდან პირდაპირ ანექსიაზე გადავიდა. გარდა ამისა თუ რუსეთს ეცოდინება

რომ მას აკვირდება არა მარტო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, არამედ თუნდაც NATO-ს მისია, ან თუ ეცოდინება რომ ყველა მისი უკანონო ქმედება გასაჯაროვდება დასავლეთის მიერ და ამას მოყვება არა მარტო სიტყვიერი გაკრიტიკება და აღშფოთება, არამედ რეალური და ხისტი სანქციები, მისი ქმედებებიც აღარ იქნება ასეთი თამამი. მას უნდა გაუქრეს „დაუსჯელობის სინდრომი“ პერმანენტული ბორდერიზაციისთვის, ხალხის გატაცებისთვის. ფასი, რომელსაც ის გადაიხდის სტატუს კვოს დარღვევისთვის უნდა იყოს გაცილებით უფრო ხისტი და საგრძნობი, ვიდრე აღფოტება და კრიტიკა. როგორც ვხედავთ ჟენევის მოლაპარაკებების იდეა თავისთავად ცუდი არ არის, თუმცა მის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები რაუნდიდან რაუნდამდე არ ხდება. არც IPRM-ის ფორმატის შექმნა გახდა გარდამტეხი მოლაპარაკებებში და კონფლიქტში. შესაბამისად არ იქნება ურიგო მოხდეს არსებული ფორმატების გადახედვა(მათი ჩანაცვლება ახალი ფორმატებით), რათა რაიმე უფრო სერიოზულ შედეგს მივაღწიოს ორივე ქვეყანამ. დასავლეთმა რუსეთს უფრო ერთმნიშვნელოვნად უნდა აჩვენოს, რომ კონფლიქტები აღმოსავლეთ ფლანგზე და შავი ზღვის საზღვრებზე ურტყამენ ასევე მის უსაფრთხოებასაც, ვინაიდან შავი ზღვის სანაპიროზე ცოტა ქვეყანა დარჩა ისეთი, რომელიც არ არის ალიანსის წევრი ქვეყანა. სიტუაციას ამძაფრებს რუსეთის გაზრდილი როლი რეგიონში ყარაბაღის ბოლო ომის შედეგებიდან გამომდინარე. რუსეთის სამხედრო კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა რეგიონში. მნიშვნელოვანია ასეთ დროს დასავლეთის უფრო აქტიური და ერთმნიშვნელოვანი განცხადება და რუსეთისთვის იმის დემონსტრირება, რომ რეგიონში რუსეთი ნამდვილად არ არის ერთადერთი ძალა რომელსაც დაუსჯელად შეუძლია აკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის თავისი გეოპოლიტიკური თამაშებისთვის.

7. გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.reuters.com/article/us-russia-election-putin-idUSKCN1GE2TF>

https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_67656.htm#:~:text=The%20Washington%20Treaty%20-%20or%20North,1949%20by%2012%20founding%20members

https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm#:~:text=Article%205%20provides%20that%20if,to%20assist%20the%20Ally%20attacked

<https://www.eata.ee/ru/ნატო/სტრანის-კლენის->

<https://www.eata.ee/ru/ნატო/სტრანის-კლენის-ორგანიზაციის/#:~:text=В%20НАТО%20входит%2030%20государств,%2C%20Турция%2C%20Венгрия%2C%20Черногория>

https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

<https://civil.ge/ka/archives/249310>

http://iccn.ge/index.php?article_id=301&clang=0

<https://civil.ge/ka/archives/249310>

<https://smr.gov.ge/en/page/26/geneva-international-discussions>

<https://civil.ge/archives/220067?fbclid=IwAR31Jpbs5JtcOTu31OSivuFOIRZFWHlqtkZv5x9DuCvjQ-ZW-vozyK2R-hY>

<https://civil.ge/archives/257983>

https://civil.ge/page/4?s=non-use%20of%20force&fbclid=IwAR1QNYK6mK_AK-4MYOW1QkdYuZFflvnTADtoGr_DaiOdWRUHMTIBPVcJrSI

https://eumm.eu/en/new_media_gallery/gal_incidence_prevention_and_response_meetings_in_ergneti

<https://www.theguardian.com/world/2014/apr/17/ukraine-crisis-agreement-us-russia-eu>

<https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/eastern->

[partnership_en#:~:text=The%20Eastern%20Partnership%20\(EaP\)%20is,%2C%20Georgia%2C%20Moldova%20and%20Ukraine](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/eastern-partnership_en#:~:text=The%20Eastern%20Partnership%20(EaP)%20is,%2C%20Georgia%2C%20Moldova%20and%20Ukraine)